სატენდერო დოკუმენტაცია

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით
შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“-ს ფეხბურთელთა გუნდის სპორტული ბაზის საშხაპეების, გასახდელების და სტადიონის ინფრასტრუქტურის შეკეთების მომსახურების შესყიდვა

შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“
2016 წელი
ქ. ტყიბული

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12‘ მუხლისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

1. ტექნიკური მოთხოვნები

1.1 პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:
ა) პრეტენდენტის რეკვიზიტები. დანართი N1
ბ) ფასების ცხრილი დანართი N2

2. დამატებითი მოთხოვნები

2.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
2.2 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.
2.3 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
2.4 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები თუ მოსაკრებლები, ტრანსპორტირების ხარჯები და სხვა.
2.5 სატენდერო წინადადების ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 19 993 ლარი.

დამატებითი ინფორმაცია:
დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრი- - ლია ოქონაშვილი ტელ. 595 97 25 69

3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები

3.1 გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“-ს ფეხბურთელთა გუნდის სპორტული ბაზის საშხაპეების, გასახდელების და სტადიონის ინფრასტრუქტურის შეკეთების მომსახურების შესყიდვა.
3.2 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები და რაოდენობა მოცემულია მიმაგრებულ ფაილში.
3.3 მომსახურების მოწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 კალენდარული დღე.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურეობის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3. ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს გაწეული მომსახურეობის მიღება-ჩაბარების აქტი და/ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

ხელშეკრულება № ____

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამაჯვებულ პრეტენდეტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ.ტყიბული — ——————— 2016 წელი

ერთი მხრივ, **შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის რამაზი სანიკიძის სახით (რეკვიზიტები: ქ.ტყიბული, თაყაიშვილის ქ. N3, ს/კ 219630228. TBCBG22 თიბისი ბანკი GE50TB7472636080100008

და მეორეს მხრივ, ——————————————————— (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი ——————————— სახით, (რეკვიზიტები——————————————————————) სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, №SPA——————— გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1.მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს,კერძოდ;

ა) წინამდებარე ხელშეკრულება:

ბ) ფასების ცხრილი.

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გასწიოს ზემოთაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის ეგზემპლიარად, რომელთაგან თითო–თითო ეგზემპლიარი გადაეცემათ ხელმომწერ მხარეებს.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“-ს ფეხბურთელთა გუნდის სპორტული ბაზის საშხაპეების, გასახდელების და სტადიონის ინფრასტრუქტურის შეკეთების მომსახურების შესყიდვა. (შემდგომში "მომსახურება"). CPV კლასიფიკატორის კოდი 45300000

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ——————————————— ლარს

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

3.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან,განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება განხორციელებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია რამაზი სანიკიძე.

5. მომსახურების მიწოდების ვადა და პირობები

5.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება მისამართზე: ქ. ტყიბული, სოლომონ მეორეს ქუჩა, შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „მეშახტე"-ს საწვრთნელი ბაზა.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის 0.3%–ის ოდენობით.

6.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

7. მხარეთა უფლება მოვალეობები

7.1 შემსყიდველი ვალდებულია:

7.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

7.1.2 მომსახურეობის მიწოდების მიმდინარეობისას დაუყონებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაზე.

7.2.2 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.4 მიმწოდებელს უფლება აქვს;

7.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება.

8. ფორს–მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია, მომსახურების მიწოდების პარალელურად, განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

9.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

9.3. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წამოადგენს შ.პ.ს საფეხბურთო კლუბი ,,მეშახტე,,-ს დირექტორი რამაზი სანიკიძე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3, პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტა მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის ---------- და მოქმედებს 2016 წლის ---------- ---------- ჩათვლით, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: _____

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: _____

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი: _____

საიდენტიფიკაციო კოდი: _____

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: _____

ელექტრონული მისამართი: _____

მომსახურე ბანკის დასახელება: _____

ბანკის კოდი: _____

ანგარიშსწორების ანგარიში: _____